



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 11

ქ. გარდაბანი



30/03/2023

11-06-4-202303301705

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016525) და

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209³ მუხლის, 239-ე მუხლის მე-14, 14¹, 27-ე, 66-ე და 67-ე ნაწილების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12 და მე-15 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ XIV თავისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:“;

გ) დადგენილების პირველ მუხლში:

გ.ა) პირველი პუნქტი და დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1);“;

გ.ბ) მეოთხე პუნქტი და დანართი №4 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„4. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა (დანართი №4);“;

გ.გ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მითითებით გასატარებელი ღონისძიებების შემოწმების აქტის ფორმა (დანართი №16) ;“;

გ.დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 პუნქტი:

„17. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №17);“;

გ.ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-18 პუნქტი:

„18. საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №18).“;

დ) დადგენილების მე - 2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 51³, 53³, 55-ე, 55², 55⁶, 77¹, 77², 82⁵ (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119¹, 134¹, 135-ე, 146¹, 148-ე, 150-ე, 150¹, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151², 152-ე, 152², 152⁵ -152⁹ მუხლებით, 153⁴, 156¹, 158⁵ მუხლის პირველი

და მე-2 ნაწილებით, 159-ე და 159¹ მუხლებით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლებითა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიენიჭოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს.“;

ე) დადგენილებას მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს მუხლი 4¹ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4¹

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 46⁵, 46⁶, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიენიჭოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

